



**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოველკვირეული
საინფორმაციო
ბიულეტენი**

N 49, 2023

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
2023 წლის იანვარ-ნოემბრის თვეებში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტი გაიზარდა	2
2024 წლის პირველი იანვრიდან ბიზნესისთვის გაზის ტარიფი იზრდება	2
ელექტროენერგეტიკა	3
CFD მეორე აუქციონში ჰესებისთვის მედიანური ტარიფის ზრდას ველით - ასოციაცია....	3
თურქული Axpo Turkey Enerji A.Ş ელექტროენერჯით ვაჭრობაში დაინტერესებას გამოხატავს.....	4
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	4
Google-მა გეოთერმული სადგური გახსნა, რომელიც ელექტროენერჯიას გამოიმუშავებს	4
200 მეტრის სიმაღლის, ორმაგი მოქმედების მზის კოშკს შეუძლია სუფთა ენერჯიის გამომუშავება დღისითაც და ღამითაც	5
კლიმატის ცვლილება.....	7
ვინ რამდენს გამოყოფს კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად? დაპირებები COP28- ზე.....	7
ატმოსფეროში ამდენი ნახშირორჟანგი ბოლო 14 მილიონი წელია, არ ყოფილა	8
ღონისძიებები	9

ნავთობი და გაზი

2023 წლის იანვარ-ნოემბრის თვეებში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტი გაიზარდა

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ინფორმაციით, 2023 წლის იანვარ-ნოემბრის თვეების განმავლობაში საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტმა შეადგინა 1092,5 ათასი ტონა, რაც 36,4 ათასი ტონით ანუ 3,4%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან (1056,1 ათასი ტონა) შედარებით.

მათ შორის, 2023 წლის პირველი 11 თვის განმავლობაში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა 549,5 ათასი ტონა, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა - 543,0 ათასი ტონა.

კატეგორიების მიხედვით, 2023 წლის იანვარ-ნოემბრის თვეების განმავლობაში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა შემდეგი: A-91 რეგულარი ტიპის ბენზინი - 323,9 ათასი ტონა (58,9%); A-95 პრემიუმი ტიპის ბენზინი - 215,6 ათასი ტონა (39,2%); A-98 სუპერი ტიპის ბენზინი - 10 ათასი ტონა (1,8%);

მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბრის თვეების განმავლობაში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა რუსეთიდან - 691,7 ათასი ტონა, რაც მთელი იმპორტის 63,3%-ს შეადგენს. შემდეგ მოდიან: რუმინეთი - 162 ათასი ტონა - 14,8%; ბულგარეთი - 82,1 ათასი ტონა - 7,5%; აზერბაიჯანი - 69,4 ათასი ტონა - 6,4%; ბელარუსი - 25 ათასი ტონა - 2,3%; თურქმენეთი - 24 ათასი ტონა - 2,2%; საბერძნეთი - 20,6 ათასი ტონა - 1,9%; თურქეთი - 12 ათასი ტონა - 1,1%; არაბთა გაერთ.ემ. - 2,2 ათასი ტონა - 0,2%; ვირჯინიის კ-ბი - 2,2 ათასი ტონა - 0,2%; უკრაინა - 1,3 ათასი ტონა - 0,1%; ჰონკონგი - 0,1 ათასი ტონა - 0,01%.

წყარო: bfm.ge - <https://cutt.ly/2wAnuarA>

2024 წლის პირველი იანვრიდან ბიზნესისთვის გაზის ტარიფი იზრდება

2024 წლის პირველი იანვრიდან თბილისში, ასევე ქვეყნის რეგიონებში არსებული კომერციული აბონენტებისთვის - კერძო და საჯარო იურიდიული პირებისთვის ბუნებრივი აირის ტარიფი იზრდება. შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღეს თბილისისა და რეგიონების გაზგამანაწილებელმა კომპანიებმა "თბილისი ენერჯიმ" და "სოკარ გაზმა."

"სოკარის" განახლებული ტარიფი ასე გამოიყურება:

2024 წლის 1 იანვრიდან „სოკარ ჯორჯია გაზისა“ და „საქორგაზის“ კომერციული მომხმარებლისთვის 1მ3 ბუნებრივი გაზის ფასი განისაზღვრება 1,29 ლარით დღგ-ს ჩათვლით. ასევე დღგ-ს ჩათვლით 1.29 ლარით განისაზღვრა "თელავგაზის" ტარიფი კომერციული მომხმარებლისთვის.

1 სექტემბრიდან სამივე კომპანიის კომერციული მომხმარებლებისთვის ტარიფი 1.25 ლარამდე შემცირდა. მაშინ "სოკარის" მომხმარებლისთვის ტარიფის კლება 13 თეთრს შეადგენდა. გაზის ფასი უცვლელი დარჩება იმ პურის მწარმოებელი კომპანიებისათვის, რომლებზეც ვრცელდებოდა ხორბლის ფქვილის სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამა.

ასევე უცვლელი რჩება საყოფაცხოვრებო ტარიფი, რომელიც საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ არის დადგენილი.

"თბილისი ენერჯის" განახლებული ტარიფი ასეთია:

"შპს „თბილისი ენერჯი“ დედაქალაქის უმსხვილესი ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიანტია, რომელიც თითქმის ნახევარ მილიონზე მეტ აბონენტს ემსახურება, მათ შორის 20 000-მდე არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელს.

კომპანიის სალიცენზიო პირობაა მომხმარებელთა უსაფრთხო და უწყვეტი გაზმომარაგება.

გამომდინარე აქედან, 2024 წლის 1-ელი იანვრიდან შპს „თბილისი ენერჯის“ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასი ერთ კუბურ მეტრზე 1.24 (ერთი ლარი და 24 თეთრი) ლარის ნაცვლად განისაზღვრება 1.29 (ერთი ლარი და 29 თეთრი) ლარით, დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბუნებრივი გაზის ფასი არ იცვლება საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის და ტარიფი კვლავ 0.539708 ლარი იქნება ერთ კუბურ მეტრზე", - წერია გავრცელებულ ინფორმაციაში.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/0wAnuU9q>

ელექტროენერგეტიკა

CFD მეორე აუქციონში ჰესებისთვის მედიანური ტარიფის ზრდას ველით - ასოციაცია

ენერგეტიკის სექტორის მხარდამჭერი მექანიზმის, CFD სქემის ფარგლებში დადგმული სიმძლავრის მეორე აუქციონი, არსებული ინფორმაციით, დეკემბრის ბოლომდე გამოცხადდება. მზის, ქარისა და წყლის ელექტროსადგურების მიმართულებით სახელმწიფო აუქციონზე ჯამში 600 მეგავატი სიმძლავრის პროექტებს გამოიტანს, საიდანაც 300 მეგავატი ჰიდროს წილი იქნება.

სექტორის შეფასებით, მეორე აუქციონზე დაინტერესება მაღალი იქნება, რადგან გასულ წელს კომპანიების მხრიდან 3-ჯერ მეტ სიმძლავრეზე გაკეთდა განცხადება.

"ინტერესი დიდი იქნება, რადგან წინა აუქციონზე მოთხოვნა 3-ჯერ მეტ სიმძლავრეზე იყო. გარდა ამისა, არიან კომპანიები, რომლებსაც პირველ აუქციონში მონაწილეობა არ მიუღიათ, რადგან აკვირდებოდნენ, როგორც საპილოტე პროგრამას", - ამბობს მცირე და საშუალო ჰესების ასოციაციის ხელმძღვანელი, გიორგი მარგებაძე BMG-სთან საუბრისას.

პირველ აუქციონზე ჰიდროელექტროსადგურებისათვის აუქციონის კომისიამ მედიანური ტარიფი 6,85 ცენტის ოდენობით განსაზღვრა.

მარგებაძის შეფასებით, ეს საკმაოდ დაბალი ტარიფია სემეკის დადგენილების შესაბამისად, ამიტომ მომდევნო აუქციონზე ის ტარიფის 7,5 ცენტამდე ზრდას პროგნოზირებს.

"მჯერა, რომ ტარიფები გაიზრდება. წინა აუქციონი როდესაც ჩატარდა, არსებობდა კონკრეტული კრიტერიუმი, რომელიც კომპანიებმა, რომლებიც ფასწარმოქმნაში მონაწილეობდნენ, არ გაითვალისწინეს. სემეკის მიერ ახალი მიღებული იყო დადგენილება, რომლის თანახმადაც, სიმძლავრის მიერთებისას 2-დან 16 მეგავატის ფარგლებში, მეგავატზე გადასახადი 300 000 ლარია, რაც პატარა თანხა არ არის და ძალიან ამვირებს პროექტს.

ზოგმა იცოდა ამის შესახებ წინა აუქციონზე, ძალიან ბევრმა, 80%-მა არ იცოდა, რადგან ახალი მიღებული იყო. დღეს ეს ყველამ იცის და აუცილებლად უნდა აისახოს ფასებზე, იმიტომ რომ მშენებლობა თუ ამ დრომდე X თანხა ჯდება, ამას ახლა ძალიან კოლოსალური თანხა ემატება. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ 6.85 ცენტი, ჰიდროს ნაწილში რაც იყო, აუცილებლად გაიზრდება და, შესაძლოა, 7 ცენტამდეც ავიდეს”, - ამბობს გიორგი მარგებაძე.

CFD პროგრამის ფარგლებში, მომდევნო სამი წლის განმავლობაში, 1500 მგვტ სიმძლავრის სადგურების მშენებლობის ხელშეწყობა იგეგმება.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/HwAnu9Ak>

თურქული Axpo Turkey Enerji A.Ş ელექტროენერჯით ვაჭრობაში დაინტერესებას გამოხატავს

ესკომ ცნობილი თურქული სავაჭრო კომპანიის Axpo Turkey Enerji A.Ş წარმომადგენლებს უმასპინძლა.

შეხვედრის მიზანი, საქართველოში ენერგოპროდუქტებით ვაჭრობის სფეროში ბიზნესშესაძლებლობებისა და პერსპექტივების განხილვა იყო.

ორგანიზაციის ცნობით, ესკოს გენერალური დირექტორის მოადგილემ და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა თურქული კომპანიის წარმომადგენლებს ელექტროენერჯის სფეროში არსებული ვაჭრობის სქემა და ორგანიზებული ბაზრის ამოქმედების დეტალები გააცნეს.

ესკოს ინფორმაციით, სტუმრებმა დაინტერესება გამოხატეს როგორც საქართველოში, ასევე, მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერჯით ვაჭრობაზე.

წყარო: energynews.ge - <https://cutt.ly/hwAnii7m>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

Google-მა გეოთერმული სადგური გახსნა, რომელიც ელექტროენერჯიას გამოიმუშავებს

Google-მა დახვეწილი გეოთერმული პროექტი წამოიწყო და ნევადაში სადგური ოფიციალურად აამუშავა. ეს ამ ტიპის პირველი პროექტია. იგი კომპანიის ახლომდებარე მონაცემთა ცენტრებს ნახშირბადისაგან თავისუფალი ელექტროენერჯით მოამარაგებს.

ახალი სადგური ფირმა Fervo-სთან პარტნიორობის ფარგლებში გაიხსნა. Google-ს სურს, 2030 წლისთვის სრულებით ისეთ ენერჯიას მოიხმარდეს, რომლის წარმოების დროსაც ნახშირორჟანგის ემისიები არ გამოიყოფა. ქარხნის გახსნა სწორედ ამ გეგმის ნაწილია.

სადგურმა მხოლოდ და მხოლოდ 3.5 მეგავატი ენერჯია უნდა გამოიმუშაოს. მისი მთავარი სარგებელი ისაა, რომ გეოთერმული ენერჯიის მისაღებად ექსპერიმენტულ მეთოდებს იყენებს. შესაბამისად, თუკი მცდელობა გაამართლებს, ტექნიკებს უფრო ფართო მასშტაბით გამოვიყენებთ, რათა მსოფლიო ენერჯიით ისე მოვამარაგოთ, რომ კლიმატს საფრთხე არ შევუქმნათ.

როგორც წესი, გეოთერმული სადგურის ასაშენებლად იდეალური ადგილის შერჩევაა საჭირო. ეს ბუნებრივი რეზერვუარი უნდა იყოს, სადაც ნიადაგი უაღრესად გაბზარულია და შედარებით მარტივად გასაბურღია. ამ გზით მიღებმა დედამიწის თბილ შიგნეულობამდე უნდა ჩააღწიოს.

საგულისხმოა, რომ ასეთი ადგილები საკმაოდ ცოტა და მათი პოვნა რთულია. ამას გარდა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მოსაპოვებელი ენერგია საკმარისი იქნება. შესაბამისად, გარისკვა საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვს.

Fervo ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში არსებულ მიდგომას იყენებს — მიწას არამხოლოდ ვერტიკალურად ბურღავს, არამედ საკმარისი სიღრმის მიღწევის შემდეგ ჰორიზონტალურადაც; მერე ჭარბი წნევის მქონე სითხეებს იყენებენ, რათა ქვები კიდევ უფრო დაანაწევრონ.

შემდეგ ეტაპზე მიღებს ალაგებენ და მიწისქვეშ წყალს ტუმბავენ. იგი გაფართოებულ ჰორიზონტალურ არხში გადის, ცხელდება და შემდეგ ზედაპირს უბრუნდება, რათა ელექტრობის მწარმოებელი ტურბინი მოამარაგოს. სისტემა დახურულია, ანუ იმავე წყალს ხელახლა იყენებს და პროცესში არაფერი იკარგება.

თავისთავად, Google-ის სადგური ამ ეტაპზე ბევრ ელექტროენერგიას არ გამოიმუშავებს. ენერგიის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იგი მზისა და ქარის ენერგიასაც გამოიყენებს.

ახალი ადგილი უკვე ფუნქციონირებს. შესაძლოა, ეს ნახშირბადისგან თავისუფალი განახლებადი ენერგიის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი იყოს და გეოთერმული ქარხნები ისეთ ადგილებშიც კი აშენდეს, სადაც ერთ დროს წარმოუდგენელი ჩანდა.

ცნობისთვის, აშშ-ში გეოთერმულ ელექტროენერგიის წარმოების კუთხით მსოფლიოში ლიდერია. ამის მიუხედავადაც კი, მუშა გეოთერმული სადგურები მხოლოდ 6 შტატშია, მათ შორის ნევადაში, კალიფორნიასა და იუტაში.

წყარო: on.ge - <https://cutt.ly/XwAnibln>

200 მეტრის სიმაღლის, ორმაგი მოქმედების მზის კოშკს შეუძლია სუფთა ენერგიის გამომუშავება დღისითაც და ღამითაც

მკვლევარებმა იორდანიიდან და ყატარიდან შეიმუშავეს "ორმაგი ტექნოლოგიის მზის სისტემის" (TTSS) კონსტრუქცია, რომელსაც შეუძლია სუფთა ენერგიის გამომუშავება დღე-ღამის განმავლობაში. ეს ორმაგი მოქმედების კონსტრუქცია ორჯერ მეტ ენერგიას მოგვცემს, ვიდრე სტანდარტული მზის კოშკი ჰაერის აღმავალი ნაკადით.

TTSS აერთიანებს კოშკის ტიპის ორ ტექნოლოგიას ერთ კონსტრუქციაში: მზის კოშკი აღმავალი ნაკადით და გამაგრებელი კოშკი დაღმავალი ნაკადით. ისინი გაერთიანებულია ერთ კოშკში, შუაში გადის აღმავალი კოშკი.

მზის აღმავალი ნაკადის სისტემა მუშაობს ჰაერის გათბობით მიწის დონეზე და შემდეგ იყენებს იმ ფაქტს, რომ ცხელი ჰაერი ადის მაღლა და მიმართავს მას მაღალ კოშკზე ტურბინებით. ჰაერი თბება დიდი სახურავის ქვეშ, რომელიც ფარავს დიდ შემაგროვებელ სივრცეს, რომელიც დამზადებულია სათბურის ტიპის მასალისგან, რათა რაც შეიძლება მეტი სითბოს დაიჭეროს.

გამაგრლებელი კოშკი დადმავალი ნაკადით ჰაერს ქვევით მოძრაობას აიძულებს სხვა ტურბინის დასატრიალებლად. ამ კონსტრუქციაში ეს მიიღწევა კოშკის ზემოთ ჰაერში წყლის წვრილი ნისლის შესხურებით, რაც მას ერთდროულად აგრილებს, ამძიმებს და ქვევით მიმართავს.



TTSS-ის კონსტრუქციაში აღმავალი ნაკადის კოშკი განთავსებულია შუაში და მას გარშემო აკრავს 10 დადმავალი ნაკადის კოშკი, რათა მან ერთდროულად იმუშაოს როგორც აღმავალი, ასევე დადმავალი ნაკადის რეჟიმში.

იორდანის ალ-ჰუსეინის ტექნიკური უნივერსიტეტისა და ყატარის უნივერსიტეტის მკვლევართმა ჯგუფმა შექმნა TTSS კოშკის მოდელი დაახლოებით 200 მ სიმაღლისა და 13,6 მ დიამეტრით, ქვეშ 250 მ დიამეტრის კოლექტორით. შიდა გამაგრლებელი კოშკის დიამეტრი იყო 10 მ, და მთელ პერიმეტრზე ტოვებდა 1,8 მ სიგანის ღრეჩოს. ეს ღრეჩო დაყოფილი იყო 10 ცალკეულ დადმავალი წვეის კოშკად, წყლის ნისლის სისტემებით თავზე და ტურბინებით ქვემოთ.

სიმულაციური ტესტების დროს ადგილობრივი ამინდის მონაცემების გამოყენებით, ჯგუფმა შეაფასა, რომ ასეთი სისტემა გამოიმუშავებს სულ დაახლოებით 753 მეგავატ-სთ ენერჯიას წელიწადში, გარე დადმავალი კოშკები მუშაობენ 24 საათის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს დაახლოებით 400 მეგავატ/საათს. აღმავალი ნაკადი უფრო ეფექტურად იმუშავებს ცხელი მზის ქვეშ და გამოიმუშავებს დაახლოებით 350 მგვტ/სთ-ს.

წყარო: building-tech.org - <https://cutt.ly/dwAni1oS>

კლიმატის ცვლილება

ვინ რამდენს გამოყოფს კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად?

დაპირებები COP28-ზე

გაეროს კლიმატის წლევანდელ სამიტზე, COP28-ზე, ქვეყნებმა, ორგანიზაციებმა და კომპანიებმა კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად მეტი ფინანსური სახსრების გამოყოფა დააანონსეს. სამიტის მასპინძელმა არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა განაცხადა, რომ ღონისძიების დაწყებიდან ხუთი დღის განმავლობაში დაახლოებით \$83 მილიარდის მობილიზება მოხერხდა. სტატიაში წარმოგიდგენთ ძირითად ფინანსურ დაპირებებს, რომლებიც დამსწრეებმა COP28-ზე გააჟღერეს.

სამიტზე ერთ-ერთი უმსხვილესი დაპირება არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა გააკეთა, რომელმაც კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი მსოფლიოს მასშტაბით პროექტების დასაფინანსებლად \$30-მილიარდიანი ფონდის შექმნა დააანონსა. გარდა ამისა, სახელმწიფო გლობალური სამხრეთისთვის დამატებით \$5 მილიარდის გამოყოფას გეგმავს.

მსოფლიო ბანკმა განაცხადა, რომ მომდევნო წლებში კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული დაფინანსების მნიშვნელოვნად გაზრდას აპირებს. უფრო კონკრეტულად კი, გეგმის მიხედვით, ყოველწლიურად დაფინანსება დაახლოებით \$9 მილიარდით უნდა გაიზარდოს.

ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის განვითარების ბანკმა (CAF) პირობა დადო, რომ 2030 წლამდე ყოველწლიურად \$2 მილიარდზე მეტის ინვესტიციას განახორციელებს ლათინურ ამერიკაში კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად.

აზიის განვითარების ბანკმა (ADB) კი განაცხადა, რომ 2024-2029 წლებში \$10 მილიარდს გამოყოფს, რათა ფილიპინებში კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული პროექტების განხორციელებას შეუწყოს ხელი.

გარდა ამისა, არაბთა გაერთიანებული საამიროების ბანკებმა 1 ტრილიონი დირჰემის, დაახლოებით \$270 მილიარდის მწვანე ფინანსების გამოყოფის პირობა დადეს.

საქველმოქმედო დონორები, მათ შორის „ბეზოსის დედამიწის ფონდი“, შეუერთდნენ მსოფლიო ბანკის კერძო საინვესტიციო მიმართულებას, რათა 11 მილიარდი დოლარის მობილიზება შეძლონ. ფინანსური სახსრები განვითარებად ქვეყნებში კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლას მოხმარდება.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიების პირველ დღეს სამიტის მონაწილეები კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან გამკლავებაში ღარიბი ქვეყნების დახმარებაზე შეთანხმდნენ. ამ მიზნით, ოთხშაბათის მდგომარეობით, ჯამურად \$726 მილიონის მობილიზება მოხერხდა. დონორ ქვეყნებს შორის გამოსარჩევია იტალია 100 მილიონი ევროთი და ნიდერლანდები 15 მილიონი ევროთი.

მსოფლიოს უდიდესმა საერთაშორისო ფონდმა, რომელიც განვითარებად ქვეყნებში კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შემსუბუქებაზეა ორიენტირებული, ღონისძიების გახსნის დღეებში \$3.5 მილიარდის დაპირება მიიღო, მათ შორის ახალი დაფინანსების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატებისგან.

დანიურმა საინვესტიციო ფირმა Copenhagen Infrastructure Partners-მა კი განაცხადა, რომ განვითარებად და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში განახლებადი ენერჯის პროექტების მხარდასაჭერად შექმნილი ფონდისთვის \$3 მილიარდის მოზიდვას აპირებს.

გარდა ამისა, არაბული ენერჯის ფონდმა განაცხადა, რომ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში 1 მილიარდ აშშ დოლარამდე ინვესტიციას განახორციელებს დეკარბონიზაციის ტექნოლოგიებში.

ამავე მიმართულებით დაპირება გააჟღერა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. აშშ-მა Climate Investment Funds-ისთვის (CIF) 568 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხის გაცემა დააანონსა განვითარებად ეკონომიკებში ნახშირბადის ემისიის შესამცირებლად განკუთვნილი ტექნოლოგიების შემუშავებისთვის.

არაბთა გაერთიანებული საამიროები, 100 მილიონი აშშ დოლარის კონტრიბუციით, მსოფლიო ბანკის მეთაურის ახალი სატრასტო ფონდის მხარდამჭერთა შორისაა. ფონდის მიზანი სათბურის გაზების ემისიის შემცირებაა. გარდა ამისა, თითქმის ათეულმა ქველმოქმედმა განაცხადა, რომ ისინი 450 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებენ მომდევნო სამი წლის განმავლობაში, რათა ქვეყნებს მეთანთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრაში დაეხმარონ.

„ბილ და მელინდა გეიტსების ფონდმა“ და არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა პირობა დადეს, რომ სუბსაჰარულ აფრიკასა და სამხრეთ აზიაში ფერმერების დასახმარებლად, რომლებიც კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებას ცდილობენ, ერთობლივად \$200 მილიონს გამოყოფენ.

პარალელურად, ბრაზილიის განვითარების ეროვნულმა ბანკმა 2030 წლისთვის 60,000 კვადრატული კილომეტრის ფართობზე განადგურებული ტყის აღდგენის გეგმა გააჟღერა. როგორც ცნობილია, ამისთვის 205 მილიონი აშშ დოლარი გამოიყოფა.

არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა და რამდენიმე საქველმოქმედო ორგანიზაციამ კი \$777 მილიონის დაფინანსების გამოყოფა დააანონსა, ტროპიკული დაავადებების პრევენციისთვის, რომლებიც, სავარაუდოდ, ტემპერატურის მატებასთან ერთად გავრცელდება.

დაბოლოს, არაბთა გაერთიანებული საამიროები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და ამერიკის შეერთებული შტატები იმ ქვეყნებს შორის არიან, რომლებმაც კლიმატთან დაკავშირებული კატასტროფების ახალ ფონდში 300 მილიონ აშშ დოლარზე მეტი შეიტანეს.

ცნობისთვის, გაეროს კლიმატის წლევეანდელი სამიტი, რომელსაც არაბთა გაერთიანებული საამიროების ქალაქი დუბაი მასპინძლობს, 30 ნოემბერს დაიწყო და 12 დეკემბერს დასრულდება.

წყარო: forbes.ge - <https://cutt.ly/twAnodW3>

ატმოსფეროში ამდენი ნახშირორჟანგი ბოლო 14 მილიონი წელია, არ ყოფილა

ახალი კვლევით დადგინდა, რომ ამჟამად დედამიწის ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობა იმდენია, რამდენიც 14 მილიონი წლის წინ იყო, რაც ადამიანთა სამრეწველო საქმიანობითაა გამოწვეული.

მეცნიერებმა ამ მაჩვენებლის ცვლილება 66 მილიონი წლის წინა პერიოდიდან დღევანდელობამდე გააანალიზეს, რისთვისაც ბიოლოგიური და გეოქიმიური მონაცემები გამოიყენეს. შედეგად გაირკვა, რომ ატმოსფერული აირების ყოველ მილიონ მოლეკულაში 420 ერთეული (ppm) ნახშირორჟანგს ბოლოს დაახლოებით 14-16 მილიონი წლის წინ ეკავა, როცა გრენლანდიაზე ყინული ჯერ კიდევ არ იყო. ეს წინა ვარაუდებს 3.5 მილიონი წლით უსწრებს.

1700-იან წლებში ნახშირორჟანგის კონცენტრაცია 280 ppm იყო, სამრეწველო ემისიებმა კი ის დაახლოებით 50%-ით გაზარდა. ამან ინდუსტრიალიზაციის შემდგომ გლობალური ტემპერატურის 1.2°C-ით მომატება გამოიწვია.

მნიშვნელოვანია, რომ ჰომო საპიენსის ევოლუციის პროცესი მხოლოდ 3 მილიონი წლის წინ დაიწყო, ამიტომ ჩვენი სახეობა დედამიწაზე სწორედ ამ პერიოდში არსებულ პირობებსაა შეჩვეული და მორგებული. ამის მიუხედავად, სპეციალისტები პროგნოზირებენ, რომ 2100 წლისთვის ატმოსფეროში ნახშირორჟანგის დონე 600-800 ppm-ს მიაღწევს. ასეთი კონცენტრაცია ბოლოს 30-40 მილიონი წლის წინ დაფიქსირდა, ეოცენის ეპოქაში.

უკანასკნელი კვლევაში მონაწილეობა 80-მა მეცნიერმა 16 ქვეყნიდან მიიღო. მათ უკვე არსებული მონაცემები ხელახლა გადაიზარეს და დედამიწის ატმოსფეროში აირების ცვლილების ამსახველი ახალი "დროითი ხაზი" შექმნეს. ისინი უძველესი ფოთლების, მინერალებისა და პლანქტონების მახასიათებლებს დავაყრდნენ.

დადგინდა ისიც, რომ 50 მილიონი წლის წინ ნახშირორჟანგის დონემ რეკორდულ 1 600 ppm-ს მიაღწია, რის გამოც ტემპერატურა 12°C-ით გაიზარდა, შემდეგ კი ნელ-ნელა იკლო. 2.5 მილიონი წლის წინ ეს მაჩვენებელი უკვე 270-280 ppm-ზე იყო ჩამოსული, რაც დაახლოებით 400 000 წლის წინ თანამედროვე ადამიანის გამოჩენის შემდეგაც დიდი ხნით შენარჩუნდა.

ნახშირორჟანგის კონცენტრაციის ზრდის ამჟამინდელი ტენდენცია პლანეტის ეკოსისტემისთვის საფრთხის შემცველია, ამიტომ ის უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ. ამას ზემოხსენებული კვლევაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს. ნაშრომი გამოცემაში Science გამოქვეყნდა.

წყარო: on.ge - <https://cutt.ly/1wAnovYI>

ღონისძიებები

[ZeroCarbonIndustry 2024](#) - კონფერენცია ნულოვანი ნახშირბადის მრეწველობის შესახებ

თარიღი: 30-31 იანვარი, 2024

ორგანიზატორი :ecee

ადგილი: ანტვერპენი, ბელგია

[GlobalMethaneForum 2024](#) - მეთანის მსოფლიო ფორუმი

თარიღი: 18-21 მარტი, 2024

ადგილი: ქენევა, შვეიცარია